23 აგვისტო
საჰაერო ფლოტის
დღე

# დიდება საბჭოთა შევარდნებს!

საქართ. სსრ სახ. საჯ. ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО
Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 101 (1427) ○ კვირა, 23 აგვისტო, 1959 წ. ○ გამოცემის მე-16 წელი. ○ ფასი 30 კაპ.



დედაქალაქის სპორტულმა საზოგადოებრიობამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო სპარტაკიადის მონაწილეებს.

• • •

**სურათზე:** სპორტის დამსახურებულ ოსტატს მ. ჯუღელს პირველად თავისი ქალიშვილი შეეგება. მარჯვნივ — სპორტსმენთა ერთი ჯგუფი თბილისის ვაგზალზე.

ფოტო, ს. ონანოვისა.



# მიღწეულით არ დავკმაყოფილდეთ, ამხანაგო ფიზკულტურელებო!

„პრავდა"
18 აგვისტო

დამთავრდა სსრ კავშირის ხალხთა II სპარტაკიადა. 8 ათასზე მეტი ათლეტი — საბჭოთა სპორტის სიამაყე და დიდება — 11 დღის განმავლობაში ასპარეზობდა თავისი რესპუბლიკის, საზოგადოების, საწარმოო კოლექტივის ღირსებისათვის.

ისევე, როგორც 1956 წლის სპარტაკიადაზე, პირველობა მოიპოვა მოსკოვის გუნდმა. დედაქალაქის სპორტსმენებმა პირველი ადგილები დაიკავეს სპორტის 10 სახეობაში სპარტაკიადის პროგრამაში შემავალი 22 სახეობიდან. მოსკოველთა შემდეგაა რსფსრ-ს მხარეების და ავტონომიურ რესპუბლიკათა ნაკრები კოლექტივი. მესამე ადგილზე არიან ლენინგრადელები, მეოთხეზე — უკრაინელები, მეხუთეზე — საქართველოს სპორტსმენები. საუკეთესო გუნდების ამ ხუთეულს გადაეცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრიზები.

სპარტაკიადის ფინალურ შეხვედრათა მსვლელობაში დამყარებულ იქნა მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის 154 ახალი რეკორდი, გაუმჯობესებულია ნებაყოფლობით საზოგადოებათა და ორგანიზაციების 151 რეკორდი, დამყარებულია სსრ კავშირის 12 ახალი რეკორდი, რომელთაგან 3 მსოფლიოს მიღწევებს აღემატება.

მაგრამ განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ მსოფლიოსა და ჩვენი ქვეყნის უმაღლეს სპორტულ მაჩვენებელთა დონეს განვლილ შეჯიბრებებზე მიუახლოვდნენ არა ერთეულები, არამედ სპორტსმენთა დიდი ჯგუფები. სპორტის მთელ რიგ სახეობებში განსხვავება ჩემპიონთა მიღწევებსა და მათ მომდევნო სპორტსმენთა შორის ერთობ მცირეა. შედეგების ასეთი სიმჭიდროვე სასიხარულოა და მოწმობს, რომ საბჭოთა სპორტის ახალი გამარჯვებისათვის ჩვენ დიდი რეზერვები გაგვაჩნია.

ფრიად მრავალმეტყველია ის ფაქტი, რომ მოწინავე რიგში წამოიწიეს ნიჭიერი ახალგაზრდების დიდმა რაზმებმა. განსაკუთრებით მოკავშირე რესპუბლიკებიდან. შეიძლება ითქვას, რომ სპარტაკიადამ ჩაიარა სპორტული ოსტატობის მწვერვალებზე გუშინ ჯერ კიდევ რიგითი სპორტსმენების აქტიური შეტევით ახალგაზრდა მუშების, სტუდენტების, კოლმეურნეების რიცხვიდან.

ახალი სახელების გამოჩენა პრიზიორთა რიგებში, სპორტული ოსტატობის ზრდა — ეს ბუნებრივი და კანონზომიერი მოვლენაა ჩვენი ფიზკულტურული მოძრაობისათვის, რომელშიც მილიონები მონაწილეობენ. ტალანტებს ჩვენს ხალხში თვლა არა აქვს. საჭიროა დროზე შევნიშნოთ ისინი, მხარი დავუჭიროთ მათ, შევასწავლოთ თანამედროვე სპორტის ტექნიკა და ტაქტიკა.,

განვლილი სპარტაკიადა უდიდეს მოვლენას წარმოადგენდა საერთაშორისო სპორტულ ცხოვრებაში. შემთხვევითი არაა, რომ მას ინტერესით ადევნებდნენ თვალს მრავალრიცხოვანი სტუმრები — უცხოური და საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციების თვალსაჩინო მოღვაწენი. საზღვარგარეთული პრესა სპარტაკიადას აფასებს როგორც „გრანდიოზულ სპორტულ შეჯიბრებას". ბურჟუაზიული გაზეთებიც კი იძულებული არიან აღიარონ ფიზკულტურული მოძრაობის დიდი გაქანება სსრ კავშირში და საბჭოთა ათლეტების მაღალი ოსტატობა. დამახასიათებელია ფრანგული გაზეთის „ფიგაროს" გამოსვლა: „ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი მოსკოვში, — წერს გაზეთი, — გადაიქცა გმირობის სარბიელად, რაც დიდ ყურადღებას იმსახურებს რომის ოლიმპიური თამაშების წინ... საბჭოთა ათლეტები გადამწყვეტ გავლენას მოახდენენ მომავალი ოლიმპიური თამშების მსვლელობაზე.

სპარტაკიადის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენდა ის, რომ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდების გარდა სპორტის 5 სახეობაში პირველად გამოდიოდნენ საწარმოებისა და დაწესებულებათა ფიზიკური კულტურის კოლექტივები. ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულნი დაჯილდოვდნენ პროფკავშირებისა და საკ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზებით. მძლეოსნობასა და ცურვაში პრიზი მოიპოვეს ლენინგრადის სახელმწიფო ოპტიკურ-მექანიკური ქარხნის ფიზკულტურელებმა, ტანვარჯიშში — მოსკოვის „ფილის" კლუბმა, ველოსპორტში — რიგის ვაგონმშენებელმა ქარხანამ, სიმძიმეების აწევაში— ლენინგრადის კიროვის სახელობის ქარხანამ.

სპეციალური პრიზები იქნა დაწესებული ნებაყოფილებითი საზოგადოებათა და ორგანიზაციების სპორტსმენთა შეჯიბრებაში. ეს პრიზები გადაეცა სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა და საზოგდოება „დინამოს" კოლექტივებს. სამწუხაროდ, პროფკავშირების ისეთმა სპორტულმა საზოგადოებებმა, როგორებიცაა „ლოკომოტივი", „ავანგარდი" (უკრაინა), „კრასნოე ზნამია" (ბელორუსია), „ნეფტიანიკი" (აზერბაიჯანი) და სხვ. ვერ აჩვენეს რამდენადმე მაინც მნიშვნელოვანი შედეგები. თავიანთ შესაძლებლობაზე დაბლა გამოვიდნენ სოფლის სპორტულ საზოგადოებათა წარმომადგენლები, კერძოდ „უროჟაი" (რსფსრ), „კოლგოსპნიკი" (უკრაინა), „პახტაკორი" (უზბეკეთი).

სპარტაკიადამ კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაგვანახა, რომ ჩვენი ქვეყნის სპორტულ რუკაზე თითქმის არაა „თეთრი ლაქები". სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ საბჭოთა ადამიანები, ისინი ხალისით უთმობენ თავისუფალ დროს სპორტის სხვადასხვა სახეობას. საამისოდ ყველგანაა შექმნილი ხელსაყრელი პირობები და საქმე მხოლოდ იმაშია, რომ უნარიანად და აქტიურად გამოვიყენოთ ისინი. მაგრამ ზოგიერთ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ცუდად ამზადებენ მაღალი კლასის სპორტსმენებს სპორტის ცალკეულ სახეობებში. ესტონეთში, მაგალითად, დიდად პოპულარულია მოტოსპორტი, ტალინში არსებობს შესანიშნავი წრიული გზატკეცილი მოტორბოლისათვის, მაგრამ განვლილ შეჯიბრებაზე ესტონეთის მოტოციკლისტები გამოვიდნენ მე-12 ადგილზე. ისეთმა რესპუბლიკებმა, როგორებიცაა ლატვია, აზერბაიჯანი, უზბეკეთი, ყაზახეთი, ტაჯიკეთი ვერ გამოიყვანეს გუნდები თანამედროვე ხუთჭიდში. რესპუბლიკათა უმრავლესობაში მკვეთრად ამაღლდა კალათბურთის თამაშის დონე, მაგრამ ბელორუსიის სპორტსმენები უწინდებურად ჩამორჩებიან და სპარტაკიადის ცხრილში ბოლო ადგილზე არიან ამ სახეობაში.

II სპარტაკიადის შედეგები ყველა სპორტული მაჩვენებლის მიხედვით, განსაკუთრებით მძლეოსნობაში, გაცილებით მაღალია, ვიდრე 1956 წლის სპარტაკიადაზე. მაგრამ ყურადღებას იპყრობს ის, რომ რბენისა და ცურვის ბევრ სახეობაში ჩვენ ჯერ კიდევ საგრძნობლად ჩამოვრჩებით მსოფლიოს რეკორდების დონეს. თითქმის არ იზრდება ჩვენი ფრენბურთის თამაშის კლასი. ძველებურად დაბალ ტემპში ზოგჯერ უხეშობაც კი, თანამედროვე ტექნიკისა და ტაქტიკის მოთხოვნათა უგულებელყოფით თამაშობს წყალბურთელთა ბევრი გუნდი. მსუბუქი წონით კატეგორიების შტანგისტთა შეჯიბრებებში დიდი ხანია ხელუხლებელია ჩვენი გამოჩენილი ათლეტების საუკეთესო მაჩვენებლები.

სპარტაკიადამ უდიდესი მასალა მოგვცა, რათა ობიექტურად და ყოველმხრივ შევაფასოთ საქმეთა ვითარება სპორტის ყველა სახეობაში და ყველა ფიზკულტურულ ორგანიზაციაში. საქმე ახლა იმაშია, რომ საფუძვლიანად გავუკეთოთ ანალიზი ამ მასალას, დავსახოთ პრაქტიკული გზები არსებულ ნაკლოვანებათა გადასალახავად, საბჭოთა სპორტის მასობრიობის და ოსტატობის შემდგომი ამაღლებისათვის. ეს მთელი ფიზკულტურული საზოგადოებრიობის, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მოვალეობაა.

ჩვენთან ჯერ კიდევ დიდია გამოუყენებელი რეზერვების რაოდენობა. განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს ფიზკულტურული მუშაობა სოფლად. მიუხედავად ზოგიერთი წარმატებისა უკანასკნელ წლებში შემდგომ გაფართოებას მოითხოვს სპორტული მუშაობა სკოლაში. ცნობილია, რომ მაღალი და სტაბილური კლასის სპორტსმენთა მომზადება საჭიროა ადრეული ასაკიდან. ჯერ კიდევ უალრესად არადამაკმაყოფილებლად წარმოებს ფიზკულტურული მუშაობა შუა აზიის რესპუბლიკების, ყაზახეთისა და აზერბაიჯანის მკვიდრ ეროვნებათა ახალგაზრდობასთან, განსაკუთრებით გოგონებს შორის.

ბევრი რამაა გასაკეთებელი საზოგადოებრივი ინსტრუქტორების, მწვრთნელებისა და მსაჯთა კადრების, აგრეთვე მატერიალური ბაზის გაფართოებისათვის. ამ დიდ საქმეში გადამწყვეტი სიტყვა უნდა თქვას საზოგადოებრიობამ და პირველ ყოვლისა — კომკავშირმა.

სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადის დროშა დაშვებულია. ბრძოლა სამამულო სპორტის მასობრიობისა და ოსტატობისათვის გრძელდება. ვუსურვებთ საბჭოთა ფიზკულტურელთა მთელს მრავალმილიონიან არმიას დიდ წარმატებებს შრომაში, სწავლასა და სპორტში. ახალი მიღწევებისათვის ჩვენი სოციალისტური სამშობლოს სადიდებლად, ამხანაგო სპორტსმენებო.

## ი. რიაზანოვა — ჩვენი ქვეყნის ჩემპიონი

საკმაოდ დიდხანს გაგრძელდა II სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ტურნირი ჩოგბურთში. შეხვედრები პირად პირველობაზე დამთავრდა მაშინ, როცა სხვა სახეობათა წარმომადგენლები უკვე შინ იყვნენ გამგზავრებულნი. ნახევარფინალში ა. დმიტრიევასთან დამარცხების შემდეგ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელი ი. რიაზანოვა დმიტრიევასთან ერთად წყვილთა შეჯიბრებაში შეხვდა ფილიპოვა-პრეობრაჟენსკაიას წყვილს.

ახალგაზრდებმა მაღალ დონეზე ჩაატარეს მატჩი. ალმაცლობით ითამაშეს და დამსახურებულად მოიპოვეს კიდევ ჩემპიონის ოქროს მედლები.





◆

წინასწარმა შეჯიბრებებმა, რომლებმაც უძლიერესნი გამოავლინა, არაერთ მზიანეთელს მიუჩინა ადგილი მაყურებელთა შორის და აი, ახლა ისინი სპარტაკიადის მსვლელობის დროს მთელი სიმწვავით განიცდიან თავიანთი გუნდების გამარჯვებას და წარუმატებლობას, შეძახილებით ამხნევებენ თანატოლებს.

◆

დილის სიომ თანდათან გაფანტა ნისლი. ქოჩორა ტყის ფონზე გამოჩნდა ხევში გაშლილი კარვების ქალაქი, რომლის მყუდროებას მხოლოდ მდინარე ნეძურას ჩუხჩუხი და ტყიურთა ჭიკჭიკი არღვევდა. წინა დღის ნაყოფიერი შრომის შემდეგ ტკბილი ძილით ეძინათ ქალაქის მკვიდრთ მომავალი სისხლსავსე, მხიარული დღის მოლოდინში. მზემ როგორც კი გამოანათა პიონერული საყვირის ხმამ გაჰკვეთა ჰაერი.

თითქოს ამას უცდიდნენ, ქალაქის ქუჩებში, უბნებში, მოედნებზე ერთბაშად გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც სპორტული მოედნისაკენ მიეშურებოდნენ.

გაისმა ძახილი:

— ჯგუფებო სწორდით! ვიწყებთ დილის გამამხნევებელ ვარჯიშს!

ასე დაიწყო ცხოვრება პიონერულ ქალაქ მზიანეთში.

ცხადია, ერთ დღეში ქალაქის ცხოვრების გაცნობა ძნელია, ამიტომაც დახმარებისათვის „მშენებელთა პროსპექტზე“ მდებარე საქალაქო საბჭოს მივმართეთ. გულთბილად მიგვიღო ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ; ქუთაისის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლემ ა. ქარსელაძემ, რომელსაც უკვე მოესწრო ახალ მცხოვრებთა დაკმაყოფილება ბინებით „თანამგზავრის“ ქუჩაზე.

გავყევით ძნელაძის, მეგობრობის, შვიდწლედის, მოროზოვის ქუჩებს, ვნახეთ მოედნები, სახანძრო რაზმი, კულტურის კერები, კვების პუნქტები, სპორტული ბაზები, მეტეოსადგური და ვინ მოსთვლის კიდევ რა. ყველაფერი ეს ქალაქის 500-მდე ნორჩი მკვიდრის გაზეთ „ნორჩი ლენინელის“ რედაქციის მიერ გამოცხადებულ თამაშის—„ვაშენებთ პიონერულ ქალაქს“—პირველ ეტაპზე გამარჯვებულთა ნახელავია.

— ერთადერთი, რაც აქ რეგულარულად მეორდება, დილის გამამხნევებელი ვარჯიშია,—გზადაგზა გვიამბობდა ქალაქის საბჭოს თავმჯდომარე,—სხვა მხრივ ყოველი დღე საფუძვლიანად განსხვავდება მეორისაგან. აი, მაგალითად, 13 აგვისტო ყვავილების დღესასწაულსა და ტყის მეჯლისს დავუთმეთ. ამ დღეს განსაკუთრებით საინტერესო იყო გორის რაიონის სოფ. ნიქოზის საშუალო სკოლის პიონერის ზ. ლომსაძის ნილაბი „ველური“ და თბილისელი პიონერის მ. ციფურიშვილის „ია“. მეორე დღეს ჩავატარეთ ოლიმპიადა, ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ქუჩებისა და კვარტლების თვითმოქმედი კოლექტივები.

და ასე, ყოველდღე მრავალფეროვანი პროგრამით ცხოვრებდა ქალაქი, ეწყობოდა სპორტული თამაშობანი, შეხვედრები ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკებთან, მსოფლიო ახალგაზრდობის ფესტივალისადმი მიძღვნილი საღამო, სამი თაობის ადამიანების—კომუნისტების, კომკავშირლების, პიონერების შეხვედრა. ქალაქს ეწვივნენ აქ მცხოვრებთა საყვარელი გმირები—ძია გიგო, მალხაზ ფხიზელი, კაჟია ილეთელი, რომლებსაც ისინი „ნორჩი ლენინელის“ საშუალებით იცნობდნენ მანამდე.

ყველაფერი იზიდავდა ბავშვებს, ყველგან თავდადებით ილვწოდნენ—რადიორედაქციაში, მალხაზ ფხიზელის მოედანზე მდებარე გაზეთ „მზიანეთის“ რედაქციაში, სახელოსნოებში, კულტურის განყოფილებაში, ზოოპარკში, ლაბორატორიებში. ყველგან არის მათთვის საინტერესო, მაგრამ მაინც აქვთ ერთი საერთო, ურომლისოდ არ შეეძლოთ ცხოვრება. ეს არის ფიზკულტურა და სპორტი.

მაშინ, როცა საფუძველი ჩაეყარა მზიანეთს, ნორჩ მშენებლებს მხედველობიდან არ გამორჩენიათ სპორტული ბაზების მოწყობა. თავდადებით შრომობდნენ თბილისის, ქუთაისის, ხაშურის, გორისა და სხვა ქალაქებისა და რაიონების წარმომადგენლები. მუშაობდნენ სტუმრებიც—მოსკოველი, უკრაინელი, აზერბაიჯანელი, სომეხი პიონერები. შრომობდნენ ძალღონის დაუზოგავად, რადგან კარგად იცოდნენ, რომ ბაზების გარეშე ძნელია ფიზკულტურული მუშაობის გაშლა. მალე მზად იყო ფრენბურთის მოედანი, საჭიდაო სარბიელი, ტირი, მძლეოსნური სექტორები და პირველი ამხანაგური შეხვედრებიც გაიმართა, თუმცა ძირითად საზრუნავს მაინც მომავალი სპარტაკიადა შეადგენდა, რომელიც 6 სახეობას ითვალისწინებდა.

და აი, დადგა საქალაქო სპარტაკიადის გახსნის დღეც, რომელსაც წინ უსწრებდა ღონისძიებები ქუჩებსა და უბნებში, წინ უძღოდა ტურისტული ესტაფეტა, სადაც მონაწილეებს კომპასისა და ტოპოგრაფიული ნიშნების დახმარებით უნდა დაეძლიათ საკმაო მანძილი. თამაშამდე ნორჩ ტურისტთა ცენტრალური სადგურის აღზრდილებმა თ. აბაშიძემ, გ. ბაქანიძემ, გ. გელაძემ, თ. ლეჟავამ, გ. წერეთელმა სათანადო ინსტრუქტაჟი გაუწიეს მზიანეთელებს, ასწავლეს ნიშნების გამოცნობა, წინააღმდეგობათა დაძლევა, კარვის გაშლა, ცეცხლის ანთება და წყლის ადუღება. 32-მა მონაწილემ ზუსტად გაიარა მარშრუტი, მაგრამ დროსაც მნიშვნელობა ჰქონდა. აქ ყველას ზუგდიდელმა პიონერმა ე. ლაგვილავამ აჯობა, რომელმაც 4 წუთი და 35 წამი აჩვენა. თავი ისახელეს აგრეთვე გომბორელმა გ. არველაძემ, ზუგდიდელმა ჯ. ქვარცხავამ და სხვებმა. გუნდურ ჩათვლაში წინ იყვნენ მესამეუბნელები.

გამარჯვებულებმა პირველად მიიღეს „ნორჩი ტურისტის“ სამკერდე ნიშანი და ახლა სპარტაკიადაზე იცავდნენ თავიანთი გუნდის სპორტულ ინტერესებს.

... და აი, ალიმართა სპარტაკიადის ალამი. გაჩაღდა ბრძოლა ფრენბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, მძლეოსნობასა და სხვა სახეობებში. მიუხედავად იმისა, რომ ბაზები ერთადაა თავმოყრილი, ძნელია ყველაფერს გაწვდე, ყველაფერს დაესწრო. გულშემატკივრები გაიყვნენ. ზოგნი მოჭადრაკეებს შემოერტყნენ ი რ გ ვ ლ ი ვ, ზოგმა მაგიდის ჩოგბურთი აირჩია, სხვები ფრენბურთის მოედანთან დარჩნენ.



საინტერესოდ წარიმართა პირველი და მესამეუბნელების შეხვედრა. პატარები თავგამოდებით იბრძოდნენ ყოველი ქულისათვის, მოედნის ირგვლივ ისმოდა გულშემატკივართა შეძახილები. მაშინ, როცა აქ ბურთი მოედნის ერთი მხრიდან მეორეზე და უკან მოძრაობდა, როცა მაღალი ტემპის გამო ფრენბურთელებს ოფლის მოწმენდის დროც არ რჩებოდათ, საჭადრაკო ტურნირის მონაწილეებს ბებერი პანტის ძირში გაეშალათ დაფები და ჩაფიქრებულნი მისხდომოდნენ მათ.

მოჭადრაკეთა შორის ფინიშამდე წაუგებლად მივიდნენ ქუთაისის მე-19 საშუალო სკოლის მოსწავლე თ. გიორგაძე და ზუგდიდელი ა. ხუბულავა. ლიდერების მატჩს უნდა გადაეწყვიტა ჩემპიონის ბედი. ამ საინტერესო ორთაბრძოლაში გიორგაძემ შეძლო მახვილგონივრულად გამოეყენებინა ხუბულავას შეცდომა, კარგად განახორციელა ფიგურის შეწირვა და გაიმარჯვა კიდეც. მაგრამ იგი არ იყო მზიანეთის პირველი ჩემპიონი. გიორგაძე ჯერ კიდევ საჭადრაკო დაფასთან იჯდა და თამაშში იყო გართული, როცა ქალაქში უკვე ლაპარაკობდნენ მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირის შედეგებზე, სადაც გოგონათა შორის გაიმარჯვა მოსკოველმა ლ. საკინოვამ. ხოლო ბიჭებში—ბაქოელმა ბ. აქპეროვმა.

ეს იყო სტუმრების უკანასკნელი წარმატება. პიონერმა ვ. ციქურიშვილმა სიგრძეზე ხტომაში დაძლია 4.45 მ. აჭარელ პიონერებსაც შეუძლიათ იამაყონ ურეხელი ბიჭუნას ნ. სურმანიძის გამარჯვებით 60 მეტრზე რბენაში.

მიიწურა სპარტაკიადის დღე. დაბინდდა. ცად აჭრილმა კოცონმა გაანათა მის ირგვლივ თავშეყრილნი, რომელთაც სპორტის ოსტატი მ. ერისთავი ესაუბრებოდა უშბის დაპყრობის 25 წლის ისტორიაზე, უყვებოდა ტურიზმისა და ალპინიზმის შესახებ, საბჭოთა სპორტსმენთა მიღწევებზე.

ზეიმი დასრულდა. ქალაქში სიწყნარე გამეფდა... მხოლოდ მდინარე ნეძურას ჩხრიალი არღვევდა ღამის მყუდროებას.

ო. გელაშვილი
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.





ეს ორი მოჭადრაკე (სურათი ზევით) თ. გიორგაძე (მარცხნივ) და ა. ხუბულავა იბრძოდნენ ჩემპიონობისათვის. გამარჯვება თ. გიორგაძეს დარჩა. ქვედა სურათზე აღბეჭდილია შეჯიბრების მომენტი მზიანეთის ტირში, სადაც ნორჩები ძალებს ცდიდნენ ზუსტ სროლაში.

მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირი ერთდროულად სამ მაგიდაზე ტარდებოდა, გაიმარჯვა მოსკოველმა გოგონამ ლ. საკინოვამ, სურათი გადაღებულია ფინალური შეხვედრის დროს.

გრძელდება მატჩები სსრ კავშირის თასზე ფეხბურთში. გამოვლინდა ფინალური ეტაპის მონაწილე კიდევ ერთი გუნდი „ბ“ კლასიდან (II ზონა, № 3). ესაა ხარკოვის „ავანგარდი“, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში დაამარცხა ლენინგრადის „შრ. რეზერვები“ — 3:1.

* * *

ვინიცაში შედგა მატჩი ადგილობრივ „ლოკომოტივსა“ და როსტოვის არმიელთა გუნდს შორის. როსტოველებს საგრძნობი უპირატესობა ჰქონდათ მთელი თამაშის განმავლობაში და გამარჯვებაც მათ დარჩათ — 3:0.

* * *

ტომსკში თამაშობდნენ ადგილობრივი „სიბელექტრომოტორი“ და კიევის „დინამო“. ერთადერთმა ბურთმა, რომელიც ტომსკელმა კოზლოვმა გაიტანა მოწინააღმდეგის კარში 11-მეტრიანი დარტყმიდან, მასპინძლებს მოუტანა გამარჯვება — 1:0.

ამრიგად, თასის გათამაშებიდან უკვე გამოითიშნენ „ა“ კლასის შემდეგი გუნდები: „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი), „მოლდოვა“ (კიშინიოვი), „ზენიტი“ (ლენინგრადი), „დინამო“ (კიევი).

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 23 აგვისტოსათვის
ძირითადი შემადგენლობანი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო“ მ. | 13 | 9 | 2 | 2 | 31:13 | 20 |
| „ლოკომოტ“. | 13 | 7 | 2 | 4 | 24:17 | 16 |
| „დინამო“ თბ. | 13 | 7 | 2 | 4 | 27:22 | 16 |
| „ტორპედო“ | 15 | 7 | 1 | 7 | 18:19 | 15 |
| ცსკ მო | 13 | 6 | 2 | 5 | 15:13 | 14 |
| სკვო | 11 | 5 | 3 | 3 | 21:16 | 13 |
| „ზენიტი“ | 13 | 5 | 3 | 5 | 19:21 | 13 |
| „კრ. სოვეტ“. | 13 | 5 | 1 | 7 | 20:20 | 11 |
| „სპარტაკი“ | 14 | 3 | 5 | 6 | 21:23 | 11 |
| „დინამო“ კ. | 13 | 4 | 3 | 6 | 15:21 | 11 |
| „მოლდოვა“ | 12 | 4 | 3 | 5 | 14:23 | 11 |
| „შახტიორი“ | 13 | 1 | 3 | 9 | 11:28 | 5 |

* * *

**მოსკოვი.** 21 აგვისტო. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფეხბურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის. თამაშობდნენ დედაქალაქის გუნდები ცსკ მო და „ტორპედო“ (მოსკოვი).

მატჩი მოიგო ცსკ მო-მ — 2:0.

* * *

**კუიბიშევი.** 22 აგვისტო. ადგილობრივმა „კრილია სოვეტოვმა“ თავის მინდორზე მიიღო მოსკოვის „დინამო“.

თამაში დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0. ბურთი გატანილ იქნა თამაშის 88-ე წუთზე.

## საქართველოს თასზე

შედგა მორიგი მატჩები საქართველოს თასზე ფეხბურთში. ცხაკაიაში „სპარტაკმა“ თავის მინდორზე დიდი უპირატესობით დაამარცხა გეგეჭკორის „სალხინო“ — 6:1. ყვარელში თამაშობდნენ ადგილობრივი „დურუჯი“ და ახალციხის № 1 შახტის გუნდი. ანგარიშით 5:2 გაიმარჯვეს სტუმრებმა.

მერვედფინალში ერთმანეთს შეხვდნენ გურჯაანისა და ქობულეთის კოლმეურნე ფეხბურთელთა გუნდები. თანაკლუბელთა მატჩი დამთავრდა ქობულეთელთა გამარჯვებით — 8:1.

## პრიზი მოიპოვეს სპარტაკელებმა

დამთავრდა მოზარდთა საკავშირო შეჯიბრება ფეხბურთში, რომელშიც მონაწილეობდნენ „ა“ და „ბ“ კლასების კოლექტივებთან არსებული, აგრეთვე ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლების გუნდები.

გათამაშების ფინალური მატჩები მოეწყო ქ. კოსტრომაში. პირველი ადგილისათვის ბრძოლაში შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკისა“ და ახალგაზრდობის საფეხბურთო სკოლის გუნდები. ანგარიშით 1:0 გამარჯვება მოიპოვა „სპარტაკმა“.

მესამე ადგილისათვის ერთმანეთს შეხვდნენ „პახტაკორი“ (ტაშკენტი)-„სპარტაკი“ (ერევანი). ანგარიშით 2:1 მატჩი მოიგეს ტაშკენტელებმა.

## ოლიმპიური ტურნირი

18 აგვისტოს შედგა ოლიმპიური საფეხბურთო ტურნირის მორიგი მატჩი. დანიის ნაკრებმა კოპენჰაგენში მიიღო ისლანდიის გუნდი. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

ამ ჯგუფში (დანია, ისლანდია, ნორვეგია) გამარჯვებული უკვე გამოვლინდა. ესაა დანიის გუნდი.

# „ა“ კლასის გუნდები ტოვებენ გათამაშებას

◆



# სსრ კავშირის თასის გათამაშება

1. „სპარტაკი“ (ვილნიუსი)
2. „ზვეზდა“ (პერმი)
3. „ტრაქტორი“ (ვლადიმირი)
4. „ადმირალტეეცი“ (ლენინგრადი)
5. „ლოკომოტივი“ (ვინიცა)
6. სკვო (როსტოვი)
7. „სპარტაკი“ (ხერსონი)
8. „შახტიორი“ (სტალინო)
9. „დინამო“ (კიროვი)
10. „დინამო“ (თბილისი)
11. „ენერგია“ (ირკუტსკი)
12. „სპარტაკი“ (მოსკოვი)
13. „შირაქი“ (ლენინაკანი)
14. „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი)
15. „შახტიორი“ (შახტი)
16. „მოლდოვა“ (კიშინიოვი)
17. „სიბელექტრომოტორი“ (ტომსკი)
18. „დინამო“ (კიევი)
19. „ლოკომოტივი“ (კრასნოიარსკი)
20. „ტორპედო“ (მოსკოვი)
21. „არსენალი“ (კიევი)
22. „დინამო“ (მოსკოვი)
23. „ტრუდი“ (გლუხოვო)
24. ცსკ მო
25. სკვო (თბილისი)
26. „ზენიტი“ (ლენინგრადი)
27. IV ზონა № 2
28. „ლოკომოტივი“ (მოსკოვი)
29. „ტრაქტორი“ (სტალინგრადი)
30. „ნეფტიანიკი“ (ბაქო)
31. „სტროიტელი“ (უფა)
32. „ავანგარდი“ (ხარკოვი)

სკვო — 3:0.

„შახტიორი“—2:0

„დინამო“ თბ.—4:3

„სპარ.“ (მ) — 3:0

„შირ.“ (ლ-ნი)—5:0

„მოლდოვა“ — 4:1

„შირაქი“ — 2:1

„სიბელექტრომოტორი“—1:0

ცსკ მო—1:1, 7:0

სკვო — 2:0

შენიშვნა: ცხრილში ზემოთ აღნიშნული გუნდები თავიანთ მინდორზე ღებულობენ ქვემოთმყოფ გუნდებს.

## საქართველოს პირველობა

## გათამაშების ცხრილები

### III ჯგუფი

### I ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხამოდელო ფეხ. ფაბრიკა (თბილისი) | 10 | 9 | 1 | 0 | 74:9 | 19 |
| „არაგვი“ (მცხეთა) | 9 | 7 | 2 | 0 | 32:5 | 16 |
| „პიშჩევიკი“ (თბილისი) | 9 | 7 | 1 | 1 | 21:10 | 15 |
| „კოლმეურნე“ (ქისტაური) | 7 | 4 | 2 | 1 | 17:5 | 10 |
| „კოლმეურნე“ (ქარელი) | 9 | 4 | 2 | 3 | 14:10 | 10 |
| „ალაზანი“ (ველისციხე) | 7 | 2 | 4 | 1 | 16:12 | 8 |
| ხილნალი (ნაკრები) | 9 | 3 | 2 | 4 | 11:21 | 8 |
| „ზილიჩა“ (წითელწყარო) | 9 | 2 | 4 | 3 | 14:26 | 8 |
| „განთიადი“ (მუკუზანი) | 9 | 3 | 1 | 5 | 18:18 | 7 |
| მარჯანიშვილის სახ. კ-ზა (ყვარელი) | 9 | 2 | 2 | 5 | 11:20 | 6 |
| „კოლმეურნე“ (ლაგოდეხი) | 8 | 3 | 0 | 5 | 13:53 | 6 |
| თიანეთი (ნაკრები) | 9 | 2 | 1 | 6 | 7:23 | 5 |
| სარემონტო ტექ. სადგ. (თელავი) | 9 | 0 | 2 | 7 | 14:36 | 2 |
| „განთიადი“ (ახმეტა) | 9 | 0 | 2 | 7 | 4:27 | 2 |

### II ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ახალქალაქი (ნაკრები) | 8 | 5 | 1 | 2 | 20:5 | 11 |
| „მოტორი“ (ახალციხე) | 9 | 4 | 2 | 3 | 33:19 | 10 |
| სარემონტო ტექ. სადგ. (ადიგენი) | 8 | 4 | 2 | 2 | 16:10 | 10 |
| „კოლმეურნე“ (ასპინძა) | 8 | 5 | 0 | 3 | 17:12 | 10 |
| „განთიადი“ (კასპი) | 8 | 3 | 4 | 1 | 12:7 | 10 |
| „ლოკომოტივი“ (ხაშური) | 8 | 4 | 2 | 2 | 15:12 | 10 |
| „კოლმეურნე“ (დუშეთი) | 8 | 4 | 2 | 2 | 16:14 | 10 |
| ელმავალმშენებელი (თბილისი) | 8 | 4 | 1 | 3 | 20:10 | 9 |
| „კოლმეურნე“ (გორი) | 9 | 4 | 1 | 4 | 25:20 | 9 |
| „ქართლი“ (გორი) | 9 | 4 | 1 | 4 | 11:27 | 9 |
| „ჯავახეთი“ (დმანისი) | 8 | 3 | 2 | 3 | 11:13 | 8 |
| „კოლმეურნე“ (წალკა) | 8 | 3 | 0 | 5 | 7:15 | 6 |
| „ჯავახეთი“ (ბოგდანოვკა) | 7 | 3 | 0 | 4 | 13:27 | 6 |
| „განთიადი“ (აგარა) | 9 | 1 | 1 | 7 | 18:28 | 3 |
| „შახტმშენებელი“ (ახალციხე) | 9 | 1 | 1 | 7 | 12:30 | 3 |

### III ზონა

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) | 9 | 8 | 0 | 1 | 30:8 | 16 |
| „სუბტროპიკი“ (ჩაქვი) | 9 | 8 | 0 | 1 | 23:7 | 16 |
| „სამეგრელო“ (ზუგდიდი) | 9 | 6 | 1 | 2 | 21:7 | 13 |
| „განთიადი“ (ლანჩხუთი) | 9 | 7 | 1 | 2 | 21:19 | 13 |
| „ციტრუსკომბინატი“ (ბათუმი) | 9 | 6 | 0 | 3 | 13:11 | 12 |
| „კოლმეურნე“ (ცხაკაია) | 9 | 5 | 1 | 3 | 12:9 | 11 |
| ლენინის სახ. შახტი (ტყიბული) | 9 | 5 | 1 | 3 | 11:15 | 11 |
| ჩაის საბჭ. მეურნეობა (ცეცხლაური) | 9 | 4 | 1 | 4 | 25:17 | 9 |
| „აბშესი“ (გეგეჭკორი) | 9 | 4 | 1 | 5 | 11:11 | 9 |
| აბაშა (ნაკრები) | 9 | 4 | 1 | 4 | 19:23 | 9 |
| ჩაის საბჭოთა მეურნეობა (ოჩხამური) | 9 | 3 | 2 | 4 | 17:15 | 8 |
| განათლების განყ-ბა (ჩოხატაური) | 8 | 3 | 0 | 5 | 7:22 | 6 |
| „კოლმეურნე“ (ზესტაფონი) | 9 | 1 | 1 | 7 | 8:17 | 3 |
| „კოლმეურნე“ (ჩოხატაური) | 8 | 1 | 1 | 6 | 9:23 | 3 |
| შახტი № 2 (ტყვარჩელი) | 9 | 1 | 1 | 7 | 6:21 | 3 |
| „კოლმეურნე“ (წალენჯიხა) | 9 | 0 | 0 | 9 | 5:19 | 0 |

## ღირსეული სასჯელი

ამას წინათ ჩვენს გაზეთში მოთავსებული იყო წერილი ჭიათურის „მაღაროელის“ ფეხბურთელის ლებანიძის უმსგავსო საქციელის შესახებ. ლებანიძის საკითხი ამ დღეებში განიხილა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა და დაადგინა, რომ ამიერიდან ხულიგანს აეკრძალოს ფეხბურთის თამაში საერთოდ.

ამავე გუნდის მეკარეს ქურციკიძეს დისციპლინის დარღვევისათვის გამოეცხადა უკანასკნელი გაფრთხილება.

## ლელო

ფე-8 გვ. № 101 (1427)



საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე წარმატებას მიაღწიეს საქართველოს მოკრივეებმა ს. ჩატულიდიმ და ჯ. კვანტალიანმა. პირველმა მათგანმა ფინალში, მეტად დაძაბულ ბრძოლაში, ჩემპიონის ტიტული დაუთმო რსფსრ-ს წარმომადგენელს ივანოვს.

სურათზე თქვენ ხედავთ ამ საინტერესო ბრძოლის უკანასკნელ რაუნდს.



ძლიერი მოწინააღმდეგეები ჰყავდა ქუთაისელ კვანტალიანსაც. აზერბაიჯანელ გრიგორიანს (კვარცხლბეკზე მარჯვნივ) მან მოუგო შეხვედრა ქულებით. ფინალში კი კვანტალიანი დამარცხდა მოსკოველ ნიკონოროვთან (ცენტრში). მიუხედავად ამისა, მეორე ადგილი, რომელიც დაისაკუთრა სპარტაკიადის ტურნირში ნიჭიერმა ახალგაზრდა მოკრივემ, დიდი წარმატებაა. კვარცხლბეკზე კვანტალიანს თქვენ ხედავთ მარცხნივ.

ფოტო ე. დავთიანისა.

## ღენი აშუქებს გზას მწვერვალისაკენ

როგორც წესი, სიბნელის დადგომისთანავე ალპინისტები წყვეტენ ბრძოლას მთებთან, ვინაიდან ღამით სულ მცირეოდენი შეცდომაც კი საბედისწეროდ შეიძლება გადაიქცეს.

ამ იძულებითი „ღამის ტყვეობის“ წინააღმდეგ იყო მიმართული შვეიცარელი მთამსვლელების საცდელი ლაშქრობა, რომელიც მათ მოახდინეს ღამით ალპების ერთ-ერთ ძნელ მწვერვალზე. სიბნელესთან მათი „თანამებრძოლი“ იყო სამი ელექტრო ნათურა, რომლებიც ალპინისტებს მიმაგრებული ჰქონდათ შუბლზე და ორივე ფეხზე. ნათურათა ეს განლაგება ყველაზე ეფექტური აღმოჩნდა და ორივე ალპინისტმა უხიფათოდ მიაღწია მწვერვალს.

## 38 წლის მოკრივე კვლავ ჩემპიონია

მონრეალში (კანადა) შედგა მატჩი მსოფლიოს ჩემპიონის წოდებაზე ქვემძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის. ამერიკელი ზანგი არჩი მური, რომელიც ამჟამად 38 წლისაა, თავის წოდებას იცავდა კანადელი მოკრივის ი. დიურელის წინააღმდეგ.

ა. მურმა ბრძოლა მოიგო ნოკაუტით.

## ცენტრიდან 3.15 მეტრზე

ბრატისლავის აეროკლუბის პარაშუტისთა ჯგუფმა ამას წინათ დაამყარა ახალი მსოფლიო რეკორდი ჯგუფურ შეყოვნებით ხტომაში 1000 მეტრიდან დაშვების სიზუსტეზე. საშუალო გადახრა უდრის 3,15 მეტრს, რაც 1,80 სანტიმეტრით უკეთესია საბჭოთა სპორტსმენების ძველ რეკორდზე.

### დამაჯერებელი უარი

გამოჩენილი ინგლისელი რეგბისტი ჯეკ კაილი ამავე დროს ცნობილია როგორც კარგი ექიმი. ამ შესანიშნავ სპორტსმენს ამას წინათ ინგლისის დედოფალმა ელისაბედმა ბარონის წოდება მიანიჭა, მაგრამ კაილმა ამ წყალობაზე ასე განაცხადა: „მე ვამჯობინებდი ბარონის წოდება მიმეღო როგორც ექიმს და არა, როგორც რეგბისტს“.

**გ. დარისპანაშვილი,**
**რესპუბლიკის სახალხო არტისტი.**

როგორც ცნობილია, ძველად ქართული ჭიდაობა უმეტესად საეკლესიო დღესასწაულების დროს იმართებოდა. (შავნაბადობა, ღვთაებობა, პეტრე-პავლობა და სხვ.). ასეთ დროს ჭიდაობის მეთაურები ხალხს ქუდმოხდილი ჩამოუვლიდნენ ხოლმე, რომ მეზურნეებისათვის ფული მოეგროვებინათ. დროთა განმავლობაში საეკლესიო დღესასწაულებს ფერი ეცვალა, ხალხი გამოფხიზლდა და ჭიდაობამ კეთილმოწყობილ სარბიელებზე ან საცირკო შენობაში გადაინაცვლა. ამ თავისებურ ევოლუციასთან დაკავშირებით მინდა ახლო წარსულის რამდენიმე სურათი გავიხსენო.

26 კომისრის სახელობის რაიონში, სადაც ახლა საზაფხულო კინოთეატრია, ცირკის მსახიობმა ალექსიმ საზაფხულო ცირკი მოაწყო. მას ყავდა ერთი შეუხედავი, დაბალი ტანის ვაჟი, რომელიც მამის ასისტენტად ითვლებოდა. თვითონ ალექსი ცხოველებს წვრთნიდა და ოდესღაც მრავალი ცხოველის პატრონიც ყოფილა, მაგრამ იმჟამად მას მხოლოდ ერთი მაიმუნი, ერთი თხა და ერთიც ღორი ჰყავდა. მოჯირითეები და დაბალი კატეგორიის ჟონგლიორები, რა ნახეს ალექსის შემოსავალი ნაკლები ჰქონდა, ორ კვირაში გაიქცნენ. ამ დროს მურაშკოვის თეატრის შენობაში ჭიდაობის წრე დაიშალა და ქართველი მოჭიდავენი ალექსის ცირკს შეუერთდნენ.

ჭიდაობის წრის დაშლის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ ავლაბრის სცენის მოყვარეები სასტიკი წინააღმდეგი იყვნენ, რომ მურაშკოვის თეატრის შენობაში საჭიდაო წრეც ყოფილიყო... ეს სამართლიანი საყვედური, ქართული ჭიდაობის ხელმძღვანელებმა მიიღეს და როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ალექსის ცირკს შეუერთდნენ. მე მინდა ჩამოვთვალო იმ მოჭიდავეების გვარები, რომლებიც მურაშკოვის თეატრის შენობაში გამართულ ჭიდაობაში მონაწილეობდნენ და ხალხში დიდი სიყვარულიც დაიმსახურეს. ესენი იყვნენ: ვანო გლდანელი (წამალაშვილი), მიტო გლდანელი (სუხიტაშვილი, რომელიც შემდეგ კინომსახიობი გახდა), დათა ავლაბრელი (გაპიშვილი), კოლა შოშიაშვილი, სიმონ გაგნიძე, პატარა გაგნიძე (კერვალიშვილი), მიტო და კოლა ნავთლუღელები, პატარა მარტყოფელი და სხვები.

ვინაიდან ალექსი ჩვენს ახლოს ცხოვრობდა, ხშირად მივდიოდით ხოლმე მასთან ჭიდაობის თაობაზე, კერძოდ — პროგრამის შედგენაზე. იგი თითქმის ყოველთვის ლოგინში იწვა, შუაში თვითონ იყო, აქეთ-იქით კი ვაჟი და მაიმუნი ეწვა. იქვე ფეხთან— თხა იყო წამოწოლილი და ისე ულამაზოდ იცოხნებოდა, რომ ეშმაკს ჰგავდა... ჩვენს მისვლას ყველაზე უწინ მაიმუნი გაიგებდა, ხოლმე, როგორც კი შეამჩნევდა მაიმუნი, რომ ალექსიმ ჩვენი მისვლა ვერ გაიგო, ისე ალერსიანად მიუცაცუნებდა ხოლმე თავის შავ თათს სახეზე და ისე ხარბად კოცნიდა, რომ პირდაპირ საოცრება იყო.

როცა ალექსი გაკოტრდა და თბილისიდან წასვლა დააპირა, ფულის შოვნის მიზნით თავისი ბენეფისი მოაწყო. მან ასეთი აფიშა გამოუშვა: „კვირას გაიმართება ცნობილ მსახიობ ალექსის ბენეფისი“. აფიშაში დიდი ასოებით იყო დაბეჭდილი: „მსახიობ ალექსის ცოცხლად მიწაში დამარხვა“. ამ სანახაობის ბოლოს ქართული ჭიდაობა უნდა გამართულიყო.

ცირკს ხალხი ზღვასავით მოაწყდა. საჭიდაო წრე რომ არ გაფუჭებულიყო, ალექსიმ თავის საფლავი კუთხეში ამოათხრევინა. როცა მაყურებელი შემოდიოდა, ჯერ გათხრილ საფლავს დახედავდნენ და მერე თავისი ადგილების მოსაძებნად მიდიოდნენ. როცა ალექსი საფლავში ჩავიდა და მიწა მიაყარეს, ხალხში გაისმა შეძახილები. ვიდრე ქალაქის ბიჭები ერთმანეთს მოსწრებულ სიტყვებში ეჯიბრებოდნენ, ალექსის მიწიდან ამოყვანის დრო გამოცხადდა. სულ რამდენიმე წუთში ამოყარეს მიწა, მაგრამ აი უბედურება... ალექსი კუნძივით გდია და ხმას არ იღებს.

— კაცო!.. ეტყობა მოკვდა! — იყვირა ერთმა.

— აკი ვთქვი ჭიდაობის ხალისს გაგვიფუჭებს მეთქი. მაგ ოხერს თუ სიკვდილი უნდოდა პეტრე-პავლეს ან ხოჯავანქის სასაფლაოზე წასულიყო.

ერთხანს სიჩუმე ჩამოვარდა... ალექსის შვილი მამის საფლავთან თავჩაღუნული იდგა. მას თვალებში ცრემლიც კი მოადგა. ამ სანახაობამ მთლად დაარწმუნა ხალხი, რომ ალექსი გარდაიცვალა, მარამ ცირკის ძველი ოსტატი უცბად წამოდგა და დაიყვირა — ალექსი ცოცხალია!

ამ მოულოდნელმა შეძახილმა ხალხი განაცვიფრა. თუმცა ყველამ იქვე გაიგო ამ იაფფასიანი ნომრის საიდუმლოება.

მალე ჭიდაობის დროც მოვიდა და მედოლე მაშტიამ ლაზათიანად შემოჰკრა ჯოხები დოლს, მოედნის შუაში გამოვედი, როგორც მსაჯი (არბიტრი) და მაყურებელს ვთხოვე თავის რიგებიდან საპატიო მსაჯები დაესახელებინათ (ეს მაშინ წესად იყო მიღებული). ხალხმა დაასახელა ძველი ფალავნები და ქართული ჭიდაობის მცოდნენი. ესენი იყვნენ: მგოსნები ეთიმ გურჯი და ბეჩარა ვასო, სახელოვანი მოჭიდავეები: მიხა ქურხული, სანდრო კანდელაკი და გიორგი ჯიბგირი. ეს უკანასკნელი იმ დროს უსინათლო იყო, მაგრამ ხალხი მაინც საპატიო მსაჯად ირჩევდა...

შეწყდა ალექსის ცირკის არსებობა ჩვენს რაიონში. ძმებმა ლებანიძეებმა ცირკის შენობა დაშალეს და ხეტყის მასალა თავიანთ ქარხანაში წაიღეს. მხოლოდ უბნის ბიჭები იმ ნაცირკალ ადგილას ქართული ჭიდაობის ილეთებს სწავლობდნენ და მათივე თაოსნობით კვირა დღეობით სალამურზე უფასო ჭიდაობა იმართებოდა.

მაშინ თბილისში ორი ცირკი იყო, რომლებსაც ეფიმოვი და ესიკოვსკი განაგებდნენ. აქ გამოდიოდნენ ცირკის თვალსაჩინო მსახიობები და, რა თქმა უნდა, მათ გარკვეული წონა ჰქონდათ ჩვენს საზოგადოებაში. სწორედ ამიტომ ქართულმა ჭიდაობამ გადმოინაცვლა ამ ორ დიდ ცირკში და გაიმართა დიდი ჭიდაობა — შეჯიბრება არა ჭიდაობაში, არამედ ფალავნების გადაბირებაში.

ეფიმოვის ცირკი თბილისის „დინამოს“ სტადიონის პირდაპირ იყო (სადაც ამჟამად ტრამვაის მუშა-მოსამსახურეების ბინებია). ესიკოვსკის ცირკი — ელბაქიძის დაღმართზე, სადაც დავით გურამიშვილის ძეგლი უნდა დაიდგას. ეფიმოვის ცირკში ჭიდაობდნენ: მიხა და არტაშა ნახალოვკელები, ილო სვანელი, იოსებ მეჯვრისხეველი, მიშა ერთობელი, ვასო ჯვრისუბნელი, დათა ავლაბრელი, არბიტრი ტოკაშვილი და სხვა. ესიკოვსკის ცირკში ქართულ ჭიდაობას ხელმძღვანელობდნენ სახელმოხვეჭილი ძველი ფალავანი, შაშო ვერელი (კახნიაშვილი) და არბიტრი კაციტაძე. ამ ცირკში ჭიდაობდნენ პატარა ვერელი (გიორგი კახნიაშვილი), შაშო ვერელის უმცროსი ძმა, რომელიც თავისი ტექნიკით და ვაჟკაცური ჭიდაობით თავის ძმას წააგავდა, გარსო მთაწმინდელი (ნასიბოვი), გიორგი გარეკახელი, ვანო გლდანელი. ეფიმოვის ცირკში თავმოყრილი იყო არა მარტო თბილისის სახელოვანი მოჭიდავეები, არამედ გარეუბნის და ქართლის რაიონებიდან ჩამოსული რჩეული მოჭიდავეებიც. იმ დროს, ქართული ჭიდაობის ულამაზეს მოჭიდავეებს არტაშა ნახალოვკელს, იოსებ მეჯვრისხეველს და სხვებს გვერდში ამოუდგა პატარა მეტეხელი (გეჯაძე). ამ უკანასკნელის ჭიდაობა იმდენად მიმზიდველი და ვაჟკაცური იყო, რომ დღესაც თუ რომელიმე მოჭიდავე ზეზელა კისრულს ჩაატარებს მოწინააღმდეგესთან, არ შეიძლება ამ ლამაზი ილეთის დროს პატარა მეტეხელი არ გაიხსენონ... შემდეგში მისი სტილის გამგრძელებლები იყვნენ არჩილ დურგლიშვილი და ვასო ქარუმიძე... მხოლოდ უფრო გვიან, ჩვენი საყვარელი მოჭიდავე მრავალგზის საქართველოს ფალავანი სიმონ მაისურაძე.

ხშირად, როცა ორ ცირკში ქართული ჭიდაობა იმართებოდა ერთდაიმავე დროს, იყო შემთხვევა როცა ქართული ჭიდაობით გატაცებული ხალხი, ეფიმოვის ცირკში რამდენიმე წყვილის ჭიდაობის შემდეგ ესიკოვსკის ცირკში გარბოდა, რომ იქაც ბოლო რამდენიმე წყვილის ჭიდაობა ენახა. მე პირადად ასე მოვიქეცი, როცა შაშო ვერელმა თავის ბენეფისზე სანდრო კანდელაკი გამოიწვია.

ორი გუნდის შეერთების საკითხი თანდათან მომწიფდა. ამ საქმეს სათავეში ჩაუდგა თბილისის ფიზკულტურის კომიტეტი და მისი ხელმძღვანელობით ქართული ჭიდაობის განვითარება მეტი აღმავალი გზით წავიდა

**რედაქტორი ი. უგულავა.**





«დინამოს» სტადიონი

დღეს

„დინამო“ (თბილისი) —

„შახტიორი“ (სტალინო)

დასაწყისი 18 ს.


გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელბაქიძის დაღმართი, № 12. დეპეშებისათვის: თბილისი, „ლელო“, ტელეფონები: რედაქტორის—3-89 62. პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3 90-34, გამომშვების — 3-01-06.

1 2 3 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა, პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 01934